ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №344

ქ. ქობულეთი „14“ დეკემბერი 2012 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 11 დეკემბრის №01-19/865 ბრძანების შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „უნივერსალი“ (შემდგომში “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ ბოლქვაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) - მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი” - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 “მიმწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ქალაქ ქობულეთის №3 საჯარო სკოლის სახურავის წყალმიმღები (ჟოლუბების) ღარების სარემონტო სამუშაოები (CPV 45261320 - წყალსარინების მონტაჟი).

2.2. სამუშაოების ზუსტი დასახელება, ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა (სპეციფიკაცია), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვებით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი მისი წარმომადგენლების მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას.

3.2 მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ, ან უკვე შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

3.3 მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები.

3.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის

მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.
3.7 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
4.2 მხარეები განიხილავენ გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ სათანადო ცვლილებები.
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა და მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით.
4.4 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.
4.5 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. თანმდევი მომსახურება

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა–დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.
5.2 სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.
5.3 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის აქტის (ფორმა №2 და ფორმა №3) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და შემოწმება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ადგილზე.
6.3 შესრულებული სამუშაოების მოცულობების, ხარისხის და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი – ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი.
6.4 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღებას ახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
6.7 როგორც შუალედური, ასევე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის დადგენის მიზნით, ლაბორატორიული დასკვნები.

7. გარანტია

7.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი იძლევა სამუშაოს ხარისხზე და

გამოყენებულ მასალებზე მინიმუმ 5 (ხუთი) წლიან გარანტიას.
7.2 საგარანტიო ვადის პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

8. ანგარიშსწორება

8.1 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1719 (ერთიათას შვიდასცხრამეტი) ლარს.
8.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების (ფორმა №2, ფორმა №3), მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურაზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი და ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.
8.4 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს:
ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით;
ბ) შემსყიდველთან შეთანხმებით შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება 100%-ის ოდენობით. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა იყოს ძალაში სამუშაოს დასრულების ვადიდან ერთი თვის განმავლობაში.
8.5 თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთ მოცულობების ანაზღაურებაზე.
8.6 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.
8.7 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
8.8 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,5 % პროცენტის ოდენობით;
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3 მიმწოდებელს სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 5 დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის

აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.
13.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
14.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

15. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ქობულეთი, დაბა ოჩხამური;
15.2 „მიმწოდებელი"–ს ფაქტიური მისამართი: ქ. ქობულეთი, თავისუფლების №77;
15.3 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE86LB0113120523574000**, საიდენტიფიკაციო კოდი **246 994 622**;
15.4 „მიმწოდებელი"– შპს „უნივერსალი"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი"– შპს „უნივერსალი"

დირექტორი მერაბ ბოლქვაძე

დანართი 1

ქობულეთის №3 საჯარო სკოლის სახურავის წყალ-მიმღები (ჟოლუბების) ღარების სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	არსებული წყალ-მიმღები ღარების და ჩამკეცების დემონტაჟი	გ/მ	98	1,5	147
2	წყალ-მიმღები ღარების მოწყობა თუნუქისაგან	გ/მ	98	5,5	539
3	ძაბრების მოწყობა თუნუქისაგან	ც	6	15	90
4	წყალ-მიმღები ღარების სამაგრები	ც	294	1,25	368
5	სამაგრი მავთული	კგ	3	3	9
6	ლურსმანი	კგ	6	3	18
7	წყალსაწრეტი მილი დ-100 პლასტმასის სამაგრებით	გ/მ	8	7	56
	ჯამი				1227
	ზედნადები	10%			123
	ჯამი				1349
	გეგმიური	8%			108
	ჯამი				1457
	დ.ღ.გ 18%				262
	ჯამი				1719

შპს "უნივერსალი"

დირექტორი მერაბ ბოლქვაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-19/865

2012 წლის 11 დეკემბერი
ქ.ქობულეთი

გამარტივებული წესით შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე–3 პუნქტის, ,,ბ" ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 5 დეკემბრის №01-14/2062 მომართვის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.ქალაქ ქობულეთის №3 საჯარო სკოლის სახურავის წყალმიმღები (ჟოლუბების) ღარების სარემონტო სამუშაოების (CPV 45261320 - წყალსარინების მონტაჟი) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულება გააფორმოს 1719 (ერთიათას შვიდასცხრამეტი) ლარის ფარგლებში, მხოლოდ იმ მომწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის №SPA120026014 მოთხოვნებს.

3.ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ქალაქ ქობულეთის №3 საჯარო სკოლის სახურავის წყალმიმღები (ჟოლუბების) ღარების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის იურიდიულმა სამსახურმა, შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე. ბაგრატიონი

ასლის
დამოწმება